საქართველოში ინოვაციური მიდგომების განვითარების ხელშეწყობის აუცილებლობა საწარმოებში

DOI:10.36962/ECS105/1-2/2023-87

ნატო გეგენავა
სტუ ასოცირებული პროფესორი

მერი ჯანჯღავა
სტუ დოქტორანტი
merijanjgava94@gmail.com

რეზიუმე

ინოვაციური მეწარმოების განვითარება მნიშნელოვანი ფაქტორია ეკონომიკის განვითარებისა, რაც მნიშვნელოვანწილად მიმართულია კომერციული მიზნებიდან გამომდინარე ორიენტირებული იყოს ახლის ძიებისაკენ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ, რაც მთლიანობაში მოითხოვს ინოვაციურობას და შესაბამისად იქმნება ინოვაციურად ორიენტირებულ საწარმოდ. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ მცირე ინოვაციური საწარმოები, რომელთა უპირატესობები ვლინდება მეცნიერებისა და წარმოების შერწყმის ხასიათში. კონკურენტული უპირატესობის მოპოვება თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისათვის, ვინაიდან ახლებური აზროვნების წიაღში შექმნილი ახალი მიდგომები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მნიშვნელოვან წილად ზრდის კომპანიების გადართვას სიახლეებისადმი.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური მეწარმეობა, მცირე ინოვაციური საწარმოები, კონკურენტული უპირატესობა.

* * * *

XXI საუკუნე ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელების შემუშავების, გამოყენებისა და დანერგვის საუკუნედ ითვლება.

სიახლეები, რომლებიც ეკონომიკაში ინერგება მნიშვნელოვან წილად ზემოქმედებს ქვეყნების მდგრად განვითარებაზე. მიმდინარე საუკუნე წარმოუდგენელია ინოვაციების გარეშე. შესაბამისად, ეკონომიკის ინოვაციური განვითარება ეფუძნება ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენებას. მნიშნელოვანი როლი უჭირავს ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების არსებობას ინოვაციური ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ინოვაციური განვითარება უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ეფექტურ ზრდას. ინოვაციურ მიდგომებზე დაყრდნობით იწარმოება ახალი პროდუქტი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხარისხის ფენომენი. მსოფლიოში ქვეყნები სხვადასხვა სტრატეგიებით ახორციელებენ ინოვაციური მიდგომების გენერირებას, კომპანიები იმ ბიზნეს-გარემოზე ადაპტირდებიან, როგორიც იქმნება ქვეყანაში და შესაბამისად არის ქვეყნების მიხედვით განსხვავება, ვინაიდან ზოგიერთი ქვეყნის კომპანიები უფრო სწრაფად რეაგირებენ სიახლეების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ვიდრე დანარჩენი ქვეყნის კომპანიები. უდავოა, რომ კონკურენტული უპირატესობის მიღწევა მიმდინარე საუკუნეში შეუძლებელია ინოვაციების დანერგვის გარეშე. მნიშვნელოვანია კრეატივსა და ცოდნის განახლებაში ჩადებული ინვესტიციების დანიშნულება, ვინაიდან წარმოების პროცესში მსოფლიოში განვითარებული ქვეყნებში 75%-დან 100%-მდე ზრდა სწორედ, რომ ინოვაციების დანერგვით არის მიღწეული. საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია გარემოება, რომელიც შეიქმნა კონკურენტული უპირატესობის თეორიის სახით, რომელსაც უპირატესი ადგილი უჭირავს შეფარდებით უპირატესობასთან მიმართებაში. მაღალტექნოლოგიური წარმოებით წამყვან რიგებში მსოფლიოში ფინეთი, შვედეთი, იაპონია, სინგაპური, აშშ არიან წარმოდგენილები. შემდგომი ჩამონათვალში არის ჩინეთი. მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნეს, როგორც გლობალურ ისე ლოკალურ დონეზე მთელი რიგი პროცესებისა და საკითხების ინტეგრირება, რომელიც მოიცავს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში გათვალისწინებას ისეთი თავისე-

ბურებებისა, რომელიც ქვეყნებს ახასიათებთ. მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით მიღწეული იქნას ახალი სტრატეგიების შემუშავების პროცესი, რომელიც დამახასიათებელი იქნება ქვეყნებისათვის. მნიშნელოვანია ეროვნული ეკონომიკების ეფექტური მართვის ფორმები იქნეს დაცული, რათა მათი ეკონომიკური პროცესები მიმართული იყოს ინვესტიციების მოზიდვისაკენ, ფინანსური ნაკადების მიღებისაკენ, რომელთა უფრო დიდი წილი აღინიშნება განვითარებულ ქვეყნებში. **[1]**

განვითარებულ ქვეყნებში ცოდნის ეკონომიკის განვითარების შესაბამისად ხდება თანამედროვე მდგომარეობაში პროცესების ადაპტირება, რაც საბოლოო შედეგში იძლევა თანამედროვე, ეკონომიკურ განვითარებას. **[2]**

ცხადია, კომპანიები სამეცნიერო რაკურსით რესურსების სოლიდურ რაოდენობას აბანდებენ სწორედ იმისათვის, რომ მათ შეძლონ ფეხი აუწყონ თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებს, განვითარდნენ, გაიზარდონ და შეიქმნას ჯაჭვი, რომელიც ყველა მომხმარებლამდე მიიტანს სწორად დამუშავებულ, განსაზღვრული დანახარჯებითა და ეფექტური ამონაგების მქონე საქონელს. ეს კი ყოველი მწარმოებლისათვის და როგორც ქვეყნებისა ასე მთლიანად პლანეტისათვის კეთილდღეობის მომტანი იქნება შეზღუდული რესურსების მქონე სამყაროში. უდავოა, მეცნიერული მიღწეევები აუცილებლად უნდა დაინერგოს წარმოების პროცესში, თუმცა ეს უკანასკნელი ვერ ჰპოვებს განვითარებას თუ არ იქნება სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი ჩართული. თანამედროვე წარმოების პროცესი წარმოუდგენელია კომპიუტერული სისტემის ინტეგრირების გარეშე. წარმოების კომპიუტერიზაცია ხელს უწყობს ადამიანისეული კაპიტალის უფრო სხვა მონაცემების უკეთ გამოყენებას, ვინაიდან დრო ასეთი ძვირფასია და, შესაბამისად, ერთგვაროვანი საქმეების შესრულება უნდა იყოს კომპიუტერიზებული. დღეს, თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანია მოძველებული ტექნოლოგიების ჩანაცვლება ახალი მეცნიერებატევადი ტექნოლოგიებით, ვინაიდან, ცხადია, მოძველებული ტექნოლო-

გიები ქმნიან დაბალკონკურენტუნარიან პროდუქტს, სწორედ ამიტომ ფაქტია, რომ სუსტად განვითარებული ქვეყნები ამ წნეხის წინაშე დგანან. თანამედროვე მსოფლიოში ინტელექტუალური კაპიტალის სწორი გამოყენების პრინციპების დაცვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ყველა დარგის განვითარებაში, ვინაიდან, დღეს სამყაროს მართავს ინტელექტი, ცოდნა, ცოდნის გაზიარება და ახალი მეცნიერული მიგნებების საშუალებით შესაძლებელია ეფექტიანი წარმოების პროცესის დანერგვა, საქართველოშიც ანალოგიური მიდგომით შესაძლებელი იქნება დადებითი შედეგების მიღწევა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლის ზრდა.

ფირმები, რომლებიც სრულ მზადყოფნაში არიან ინვოაციების დანერგვით და ნოვატორობით გამოირჩევიან, უფრო მეტ წარმატებას აღწევენ იმ ფირმებთან შედარებით, ვინ ფირმის შიდა ცოდნის გამოყენებისკენ არიან მიმართულები. ინოვაციური განვითარება ფირმებს სისწრაფისა და მოქნილობის საშუალებას აძლევს. **[3]**

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების თვალსაზრისით, 2016-2020 წლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ გრანტების ფარგლებში დააფინანსა 400-მდე პროექტი და გაიცა 1 671 000 ლარის ოდენობის დაფინანსება. რაც შეეხება „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროგრამის (რომელიც დაიწყო 2013 წელს) შესახებ შედეგებს 2016-2020 წლებში, აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ბანკების მიერ გაცემული კრედიტების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 1 700 000 ლარი. კრედიტის პროცენტის სახელმწიფო დაფინანსებამ შეადგინა 320 მლნ. ლარი. მნიშვნელოვანია მონაცემთა ანალიზის მხრივ, აღვნიშნოთ, რომ ამ პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების მოცულობა ნახევარ მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

არსებულ პრობლემას წარმოადგენს ფინანსური რესურსების ნაკლებობიდან გამომდინარე მსს-ების ფინანსური მზაობა დასაქმებულთა უნარების განვითარების საკითხისადმი. საქა-

რთველოს რეგიონებში ჩატარდა ტრენინგები ციფრულ წიგნიერებასთან დაკავშირებით, ასევე სტრატეგიულ მიმართულებად იქნა განსაზღვრული საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით მაღალკვალიფიციური და ასევე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების წახალისების, რაოდენობის ზრდის და ახალი ტექნოლოგიების სწავლების პროგრამების დანერგვები. მთავარი მიზანი არის ქვეყნის გრძველვადიანი მდგრადი განვითარებისათვის და ინოვაციური მიდგომებისა და ინოვაციების განვითარების მიზნით შეიქმნას ახალი სამუშაო ძალა და მისი განვითარება. **[4]**

გრძელვადიანი ინკლუზიური ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, როგორც ინოვაციების ასევე ტექნოლოგიების სფეროს განვითარება.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოს ციფრული ეკონომიკის განვითარების გზით მიღწეული უნდა იქნას სოფლისა და ქალაქის ურთიერთმიმართებაში გამოვლენილი უთანასწორობის გარემოების აღმოფხვრა და დაძლევა. მნიშვნელოვანია დაცული და გათვალისწინებული იქნეს ეკონომიკის მდგრადი ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებელი პირობები ქვეყანაში. ამ საკითხთან დაკავშირებით განხილვისას, წინა პლანზე გადმოდის ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბების საკითხი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბილისი, 2010 წელი. გვ. 40.

2. მექვაბიშვილი ე., თანამედროვე ეკონომიკური თეორიები (ლექციების კურსი), თბილისი, 2016 წელი. 7-20 გვ.

3. მამალაძე ი. სეხნიაშვილი დ. ინოვაციების მენეჯმენტი ფირმაში, „ბიზნეს-ინჟინერინგი", N4, 2013 წელი, თბილისი, გვ. 197-200.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სტრატეგიის 2016-2020 შესრულება.

5. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, გრანტების პორტალი https://grants.gov.ge/k (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 01.10.2022)

REFERENCES:

1. Asatiani, R. Globalization, economic theory and Georgia, Tbilisi, 2010. p. 40.

2. E. Mekvabishvili, Modern economic theories (course of lectures), Tbilisi, 2016. 7-20 p.

3. Mamaladze I. Sekhniashvili D. Management of innovations in the firm, "Business-engineering", N4, 2013, Tbilisi, p. 197-200.

4. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, implementation of strategy 2016-2020.

5. Innovation and Technology Agency of Georgia, grants portal https://grants.gov.ge/k (last checked on 01.10.2022)

THE NECESSITY OF PROMOTING THE DEVELOPMENT OF INNOVOTIVE APPROACHES IN ENTERPRISES IN GEORGIA

Nato Gegenava
GTU, Associate Professor
Meri Djanjgava
GTU, PhD Student
merijanjgava94@gmail.com

RESUME

The development of the innovative manufacturer is a significant factor in the development of the economy, which is largely directed towards the search for new things, the introduction of new technologies based on commercial goals, which as a whole requires innovation and is therefore created as an innovation-oriented enterprise. It is important to mention the small innovative enterprises, whose advantages are manifested in the nature of combining science and production. Gaining a competitive advantage in the modern world is important for all countries, since new approaches created in the heart of new thinking in the field of information technology significantly increase the switching of companies to innovations.

Keywords: Innovative entrepreneurship, small innovative enterprises, competitive advantage.